№ 248 ნოემბერი 21, სამშაბათი 1889 ნოემბერი 21, სამშაბათი № 248

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასსა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 23 ნოემბერს.

## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—7)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 21 ნოემბერს, ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**შვილობილი**

კომედია 3 მოქმედ., კ. ყიფიანისა

II

**ანუკა ბატონიშვილი**

ისტორიული დრამა 3 მოქმედ., დ. მესხისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, დიმელი; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 20 ნოემბერი

გაზეთებს თითქო სათქვენელი შემოაკლდათ: ბევრს აღარას ჰლაპარაკობენ ახალს პოლიტიკის თაობაზედ. გაცს ასე ეგონება, — ევროპამ თავისი წყურვილი მოიკლა და სადარდელი და სანაღვლელი აღარა აქვს-რაო. თუ კიდევ ამბობენ რასმე საყურადღებოს, — ერთი საფრანგეთის ახალი პარლამენტია და მეორე იმპერატორ ვილჰელმის ყოფნა სტამბოლში და მისი შედეგი. სხვა ყოველი ძველის-ძველი ამბავია, ძველის-ძველი ნადუღარი, რომელსაც დღეს ქაფქირი დიპლომატებისა ჰხდის და ენა-ჭარტალობა გაზეთებისა-კი ჰლებავს თავისის საღებავით, რომ ძველი ახლად აჩვენოს.

საფრანგეთის პარლამენტის შესახებ მარტო ის ითქმის, რომ შინაურის ჩხუბითა და დავიდარაბით დაღალული საფრანგეთი დღეს დიდს ცდაშია სხვა-და-სხვა დასთა ერთმანეთში წეწვა-გლეჯა მოსპოს და, ყველანი თუ არა, დიდი ნაწილი პარლამენტისა მაინც ერთად შესჯგუფოს, ერთად შეჰკრას და მარტო საფრანგეთის სიყვარულით და მის კეთილდღეობის ფიქრით ამოქმედოს. ეს სახელოვანი ცდა ახლად ამორჩეულთ წარმომადგენელთა დიდს სიკეთეს უქადის საფრანგეთსა და დიდი სახელი მამულიშვილობისა დარჩებათ მათ, ვინც ამ ახლად დაწყებულ საქმეს დააგვირგვინებს ერთმანეთში მორიგებითა, იმიტომ-რომ თუ აქამომდე საფრანგეთი ევროპისაგან როგორღაც ჩრდილში იყო მიყენებული შინაობაშივე განხეთქილების გამო, ამას იქით იგი, შინ გამაგრებული ერთ-სულობითა და ერთგულობით, გარედაც პატივსა და სახელს მოიპოვებს და კუთვნილს ადგილს დაიჭერს.

რაც შეეხება იმას თუ, — რა ნაყოფი მოუტანა ევროპას გერმანიის იმპერატორის ყოფნამ სტამბოლში, გაზეთები ბევრს სხვა-და-სხვა ამბავს ჰლაპარაკობენ. არ ვიცით რამდენად დასაჯერია და „Московскія Вѣдомости“-ების კორრესპონდენტი-კი ბერლინიდამ იწერება, რომ იმპერატორი ვილჰელმი კმაყოფილი არ დაბრუნდა შინაო. ფადიშაჰი და მისი მინისტრები ბანზე სიტყვას აუგდებდნენ ხოლმე მაშინვე, როცა პოლიტიკის გამო სიტყვას ჩამოუგდებდნენ ან იმპერატორი ვილჰელმი სულთანს, ან თანხლებული იმპერატორისა თ. ბისმარკის შვილი ჰერბერტი სულთანის მინისტრებს. სულთანი იმას გაუკვირვებია, რომ ჯერ მინამ იმპერატორი ვილჰელმი ეწვევოდა, ბერლინიდამ სცდილობდნენ სულთანს პრინცი კობურგელი ეცნო და გამოეცხადებინა ბოლგარეთის კანონიერ მთავრად. ეხლა-კი, როცა ვილჰელმი სტამბოლში მივიდა, ჰერბერტ ბისმარკს სიტყვა ჩამოუგდია ოსმალოს მინისტრებისათვის, რომ არამცა და არამც კობურგელი კანონიერ მთავრად არ გამოაცხადოს. ოსმალეთის პოლიტიკის გამგებელთ ვერ გაუგიათ ეს რა კამედიაა: ჯერ იხვეწებოდნენ კობურგელი გამოაცხადეთ კანონიერ მთავრადაო და ეხლა ახვეწებიან, ნუ იქო მაგასაო. ერთის სიტყვით, სჩანს, რომ გერმანიის იმპერატორს ალჩუ არ დასჯდომია სტამბოლში. ნამეტნავად სწყენია პასუხი სულთანისა, როცა ვილჰელმს თავისის მხრით უქია ოსმალოს ჯარი და ოსმალეთზედ უთქვამს, რომ მაგარი და ჯანმრთელი სახელმწიფოა, რომელსაც „ბრწყინვალე მერმისი მოელის, თუ იგი მშვიდობიანობის მომხრე იქნება და შეუერთდება იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ყოველთვის გულითადი მეგობრები ჰყოფილან ოსმალეთისა და საგნად აქვსთ ეხლანდელი ყოფა-მდგომარეობა ევროპისა ხელ-შეუხებლად დაანარჩუნონო“. სულთანს პასუხად მწარედ უთქვამს, რომ: „ოსმალეთი, თქვენო დიდებულებავ, მსურველია მშვიდობიანობისა, ხოლო მას ევროპაში მეგობრები არა ჰყავსო, რადგანაც იმ სახელმწიფოთა, რომელნიც ოსმალეთის მეგობრებად ჰხადიან თავის თავს, უფრო მეტი ვნება მოუტანეს ოსმალეთსა, ვიდრე ოსმალეთის მტრებმაო“.

არ ვიცით, რამდენად მართალია ეს „Московскія Вѣд.“-ის კორრესპონდენტის ნაუწყი ამბავი. და თუ მართალია, აშკარაა, გერმანიის იმპერატორს და მის თანხლებულს ჰერბერტს ბისმარკს სანატრელი სვე არ გაუტანიათ და ოსმალეთი ვერ მოუმხრიათ. ხომ ესეა, მაგრამ არც განგებ თვალთების აბმა ვარგა. ბევრი სხვა ნიშნებია, ბევრი სხვა საბუთი მისი, რომ სულთანი და მისი მინისტრები სულ სხვა გუნებაზედ არიან ვილჰელმის ნახვისა და ლაპარაკის შემდეგ. ამას თურმე ყველანი ჰხედვენ და ყველანი ჰგრძნობენ სტამბოლში. სხვა არა იყოს-რა, ამბობენ, რომ სტამბოლში დღეს ბურთი და მოედანი გერმანელებს დარჩათო. ყველგან თურმე დიდს პატივში არიან და აუარებელს ათვიცრობას გერმანიისას, რომელიც დღეს ოსმალეთის ჯარშია მაღალ თუ დაბალ ხარისხით, ისე ულოლიებს და ესაყვარლება თურმე ფადიშაჰი და მისი კარის-კაცნი, რომ ყველასათვის თვალ-საჩინოა და ცხადი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ იქნებოდა ასე, რომ ხსენებულ გაზეთის კორრესპონდენტი ყველაფერში მართალი იყოს, რასაც იწერება. ვინ იცის? ზოგი იმისთანა კაცია ქვეყანაზედ,

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

ქართული მოღვაწეობა. — კრება „წერა-კითხვის საზოგადოებისა. — მისი წლიური ამაგი. — ან-კი რა უნდა მოვკითხოთ!

შესაბრალისი სანახავია, როდესაც მთელი ხალხი ან რომელიმე საზოგადოება უძლურობის გზას დაადგება. სამწუხაროა, როდესაც ეს უძლურობა ფეხ-აკლებით გადადის ერთის ორგანოდამ მეორეზე და ბოლოს ჯანსა და რბილში უჯდება მთელს ორგანიზმოს და დაუნდობლადა ჰხრავს ყოველს იმის სასიცოცხლოსა და ნაყოფიერს ძალებს. დღითი-დღე ჰხედავ, რომ ასეთი ხალხი თუ საზოგადოება თანდათან ეჩვევა თავის ხელთუპყრობას, უმოქმედობას, ჰკარგავს ხალისსა და აქედამ უნარს თავის მოვლისა და შენახვისას. ბრძოლის მოედანზე იგი ნელ-ნელა უშვებს ხელიდამ იარაღს-იარაღზე და ბოლოს კალმის დანასაცკი გახსნილს აღარ ინახავს ხელში ყოველ შემთხვევისათვის და გულხელ-დაკრეფილი შეჰყურებს გამარჯვებულთა მხნეობასა და მამაცობას, შეჰყურებს, აცა როდის მოდგება ჩემზე ჯერი, რომ მოვიდრიკო მუხლი წინაშე გამარჯვებულისა და გავუხდე იმას ფეხთამტვერიო. საზოგადოებური მაჯის-ცემა ისე მოდუნებულია, რომ თვით დახელოვნებული ექიმიც-კი ძნელად გამოიცნობს, არის-ღა აქნიშან-წყალი ერთობრივის ცხოვრებისა, თუ არა, თუ ერთიან ჩამქრალა საზოგადო ცხოვრება და მხოლოდ განცალკევებული თითო კაცი-ღა ჰფეთქავს...

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენი ცხოვრება ამ უნუგეშობის ფონს მიადგეს, მართალია, ჩვენში საზოგადოებური მოღვაწეობა სრულებით უსუსურია ჯერ, მაგრამ ცოტაოდენი ნიშანი მაინცა სჩანს; თითო-ოროლა მარცვალი მაინც დაცემულა აქა-იქ ჩვენს ნიადაგზედაც და რაკი ამისთანა მარცვლები მოჰხვდება ხალხის ნიადაგს, შეუძლებელია, რომ არ დაღივდეს, ფესვები არ გაიდგას და ახლო მერმისისათვის არ გაიკეთოს სანუგეშო ნაყოფი... მანამდე-კი, სწორე მოგახსენოთ, ძალიან გაჭირებულია ჩვენი საქმე. ერთობრივს მოღვაწეობას, საზოგადო დახმარებას, საერთო გარჯასა და მხნეობას ჯერ არა აქვს ჩვენში ადგილი. ყოველი დაწინაურებული ქართველი დღეს აშკარადა ჰგრძნობს ძალას საერთო, საზიარო მოღვაწეობისას, მაგრამ რადგან ამავე დროს არ იცის, როგორ მოიმხროს თანამემამულენი თავისს საქმეში, როგორ წაახალისოს, ან თითონ როგორ მიემხროს სხვებს, — ამიტომ ყველანი განცალკევებულნი თუ აკეთებენ რასმე და ჩხირ-კედელაობენ, თორემ ერთად თითქმის ვერა უმოქმედნიათრა.

დღეს ქართველობა ისეთს ხანაშია, როდესაც ხალხი ჯერ ენას იდგამს საზოგადო მოღვაწეობის ანბანში. ამიტომაცა ჰხედავთ, რომ, თითქო შეგირდები არიანო, ყოველს კუთხეში ჩვენის დალოცვილის ქვეყნისა ჩვენი თანამემამულენი მხოლოდ პტყელ-პტყელსა ლაპარაკობენ საზოგადო მოღვაწეობის შესახებ და თვით საქმისთვის-კი ჯერ თითქმის არავის მოუკიდნია ხელი. ან-კი როგორ უნდა მოჰკიდონ, როდესაც თვით ლაპარაკიც არ არის ჯეროვანად აწონილ-გაზომილი, როდესაც ეს ლაპარაკი უფრო ყატყატსა ჰგავს, ვიდრე აზრისა და რჩევის აღებ-მიცემობას. როგორც ანბანის მოსწავლე ბავშვებისაგან ისმის მხოლოდ „ბრა-ბრა-გრიატა-ვატა“, რომელშიაც ჯერ არ გამოითქმება რომელიმე ფილოსოფიური აზრი და შეგნებულობა, აგრეთვე ჩვენი ლაპარაკიც ჯერ მხოლოდ საზოგადოებურ პირველ-დაწყობითს ანბანსა ჰგავს. ყველას ენატრება ისეთი საზოგადო სამსახური, ისეთი საქვეყნო მოღვაწეობა, რომელსაც გულის ძგერით შეჰყურებდეს მთელი ჩვენი ქვეყანა, ხელს უწყობდეს და ეხმარებოდეს ყოველი ქართველი, მაგრამ თითონაც არ იცის, საიდამ მოუაროს ამ საქმეს, როგორ მოჰკიდოს ხელი ამ მოღვაწეობას, რომ ნაყოფი მისის შრომისა ყველასათვის თვალ-საჩინო და სანუკარი გაჰხადოს. ჩვენებური საზოგადო მოღვაწეობა, რომელსაც ჩასდგომია მთელი კრებული ჩვენთა თანამემულეთა, კრილოვის იმ ურემსა ჰგავს, რომელსაც ერთი ალთას ეწევა, მეორე ბალთას, და ამის გამო ურემი დღესაც ერთსა და იმავე ადგილასა სდგას.

**

თუ როგორი უნარი გამოიჩინა ჩვენებურმა საერთო მოღვაწეობამ, ამას სხვათა შორის ნათლად დაინახავთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ წლიურ ანგარიშებიდამ. ათი წელიწადია, რაცა ჰმოქმედობს ეს „საზოგადოება“. იმის საკეთილო მნიშვნელობაზე დღეს ყოველი ქართველი ზღვის ოდენა სიტყვებს, ფერად-ფერადად აჭრელებულს, გადმოგიშლით თავის მჭევრმეტყველობის ბოლჩიდამ. იმისი გამგონე, თქვენ იფიქრებთ: „ერიჰა, ქართველ საზოგადოებას ძალიან შორს შეუტოპნია განვითარებაშიო! ყველამ ხუთის თითივით იცის, гдѣ раки зимуютъ-ო. მაგათი საქმე ეხლა ერთიან გაჩარხულია და სულ ათიოდე წელიწადში წვერ-ულვაშს დაიმშვენებენ, დავაჟკაცდებიან, წელში გაიმართებიანო!“ იფიქრებთ ასე და ძალიანაც შესცდებით. „საზოგადოების“ ვითარება დღესაც იმავ ყოფაშია, როგორშიაც იმის დაფუძნების დროს იყო. თითქმის იმდენივე უმოქმედო წევრი ჰყავს, რამდენიც მაშინ ჰყავნდა, თითქმის იმასვე აკეთებს, რაც მაშინ დაიწყო, თითქმის არავითარი წარმატება არა სჩანს. იგივე გამგეობა თავის წევრებით, იგივ დამხმარებელი აგენტები პროვინციისა, რომელნიც უფრო სახელისათვის ითვლებიან აგენტებად, ვიდრე მოღვაწეობისთვის. აი თვით „ანგარიშიც“ როგორ გვეზოგმება ამაზედ:

იმ დამხმარებელ წევრთაგან, რომელნიც წინა წლების ანგარიშში იყვნენ მოხსენებულნი, ზოგმა აღარ ისურვა წევრობა (ალბად ლვაწლით შემოსილობამ დაჰღალა!) ზოგს რამდენისამე წლის განმავლობაში არავითარი ყურადღება არ მიუქცევია საზოგადოების საქმეებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ტკბილი ტყუილი ურჩევნია მწარე მართალსა და რადგანაც „Московскія Вѣдомости"-ების კორრესპონდენტიც კაცია, არაფერი კაცებური არ უნდა ეუცხოებოდეს.

## ახალი ამბავი

*** ამ ჟამად კიდევ ბლომად არიან ქართველნი მასწავლებელნი საქართველოს სასულიერო სკოლებში, ამიტომ-რომ წინად ტფილისის სასულიერო სემინარიიდამ ბლომად იგზავნებოდნენ სასულიერო აკადემიებში ტფილისის სემინარიაში კურს-შესრულებულები. დაბრუნებისას სასულიერო მთავრობა აძლევდა იმათ ადგილებს სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში. ეხლა-კი თითქმის სულ აღარავინ იგზავნება რუსეთის უმაღლესს სასულიერო სასწავლებლებში სემინარიიდამ. ამ ჟამად ოთხს რუსეთის აკადემიაში მხოლოდ ორი ქართველი სწავლობს: ისინიც მარტო კიევის აკადემიაში არიან. ყაზანისა, პეტერბურგისა და მოსკოვის აკადემიაში-კი არც ერთი ქართველი არ იძენს უმაღლესს სასულიერო განათლებას. ბოლოს საქმე იქამდე მივა, რომ უმაღლესს სასულიერო სასწავლებელში კურს-გათავებულ ქართველ მასწავლებლების შოვნა სრულიად აღარ იყოს. იმედია, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და წინანდებურად ყოველ წლივ ორ-ორს, ან თითო კურს-გათავებულს მაინც გაჰგზავნის რუსეთში უმაღლესის სასულიერო სწავლა-განათლების შესაძენად.

*** ჩვენ მოგვივიდა პატარა ახლად დაბეჭდილი წიგნი „საყმაწვილო ამბები", თომა ასათიანისა. წიგნში სულ ოთხი პატარა ამბავია: „პატარა ნიკო", „თეთრი გიორგობა", «ოქროსმატყლოვანი ცხვარი» და „სიკო და ბროლია". წიგნში სულ 23 ფურცელია პატარა ფორმატისა და ღირს 10 კ.

*** 12 ოქტომბერს ამ 1889 წლისას შესრულდა ათი წელიწადი, რაც ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელი არსებობს. პირველში ეს სასწავლებელი სამრევლო სასწავლებელი იყო მცხეთის დედათა მონასტერში. ათის წლის წინად ეგზარხოსის იოანიკეს მიერ გადმოტანილ იქმნა ანჩხატის სახლებში და გადაკეთებულ დედათა საეპარქიო სასწავლებლად. შემდეგ ეს სკოლა არსებობდა იქ, სადაც ეხლა ტფილისის სასულიერო სასწავლებელია ავჭალის ქუჩაზედ და დღეს უკვე თავის საკუთარს სახლებშია მოთავსებული. თანხა ჰქონდა ამ სკოლას 22,000 მან. დღეს ამ სკოლის ათის წლის არსებობის დღესასწაული დანიშნული. დღესასწაულზედ ეგზარხოსი პალლადი მწირველი იქნება ამ სკოლის ეკკლესიაში, რომელიც დღევანდელის დღესასწაულის სახელზეა აშენებული. წირვის შემდეგ იქნება აქტი. აქტზე რამდენსამე სიმღერას იტყვის ხორო შეგირდებისა. შემდეგ სკოლის მოქმედების ანგარიშს 188⁷/₈ წლისას წაიკითხავს ინსპექტორი სკოლისა ალბოვი. მასწავლებელი იაროსლავი წაიკითხავს წერილს: О положеніи и дѣятельности религіозно-нравственной женщины въ язычествѣ и христіанствѣ. დასასრულ შეგირდებს დაურიგებენ საჩუქრებს. ანგარიშის ზოგიერთს ცნობას თავის დროზე შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს.

*** ა. გ. რუბინშტეინის საიუბილეიო წარმოდგენა დიდის ამბით გადაიხადა ფორკატის საოპერეტო დასმა წარსულს შაბათსა და კვირას. ამ ორს დღეს თეატრი თითქმის გავსებული იყო საზოგადოებით. ფარდის ახდისათანავე საზოგადოებას შემდეგი სურათი წარმოუდგა: სცენის შუა ალაგას კვარცხლ-ბეკზედ დადგმული იყო მეიუბილეიეს საფოტოგრაფიო სურათი, გარშემო-კი არტისტები იდგნენ. იქვე იყვნენ ქართულის დასის არტისტები და ალნიაშვილის ხორო. სურათს სცენიდგან მარჯვნივ მილიუტინის ქალი უდგა, მარცხნივ—ბ-ნი მაქსაკოვი. დღესასწაული იმით დაიწყო, რომ ფორკატიმ პალმსკის ლექსი წაიკითხა და შემდეგ მთელმა დასმა რუსულად იგალობა. ბოლოს ვ. აბაშიძემ წაიკითხა ქართულის დასის ადრესი და ამას მოჰყვა მშვენიერი გალობა ქართულად ალნიაშვილის ხოროსი. ხოროს საგალობელი გაამეორებინეს და დააჯილდოვეს კიდეც ტაშის კვრით. იქვე სცენაზედ მყოფმა სამხედრო და სათეატრო ორკესტრმა დაუკრა მშვენიერი სიმფონია „რუსეთი". დასასრულ ქ-ნმა მილიუტინისამ ლამაზად იმღერა რუბინშტეინის რომანი „ღამე" და დაიწყო კიდეც წარმოდგენა მეიუბილეიეს კომიკურის ოპერის „თუთიყუშისა", რომელიც შინაარსით ვერაფერი შვილი გამოდგა, თუ მშვენიერი აღმოსავლეთის ჰანგები არ ჩავაგდეთ ანგარიშში.

*** საზაფხულო თეატრშიაც დიდის ამბით იდღესასწაულა „ტფილისის საარტისტო საზოგადოებამ 50 წლის იუბილეი სახელოვანის მაესტროსი და სამუსიკო განათლების დამაარსებლისა რუსეთში ა. გ. რუბინშტეინისა. შაბათს თეატრში სიმფონიური საღამო იყო, კვირას იუბილიარის ოპერების სხვა-და-სხვა მოქმედება წარმოადგინეს, დღეს, ორშაბათს, კიდევ თვით საარტისტო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა ტფილელმა შესანიშნავმა მომღერლებმა და მემუსიკეებმა.

*** მთავრობის ნება-დართვით მიხეილის ქუჩაზე დასახლდა ერთი ვიღაც „предсказатель"-ი, ანუ, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, მკითხავი და ოთახის ფანჯრები, ალაყაფის კარები და აივანი ერთ-ადლიანის განცხადებებით გააჭრელა. მუშტარი, ქალი გინდა, თუ კაცი, ბუზივით მოდის ამ ახალ მოდის მკითხავთან და ესეც უსირცხვილოდ ჰყვლეფავს ცრუ-მორწმუნეებს. დალოცვილი ორ შაურსა და ერთ აბაზსაც ხომ არა სჯერდება, აელაზრელის საპოქნიკის მკითხავივით. მდიდრებს სამს მანეთს ართმევს და ღარიბებს-კი—ცოტა ნაკლებს, ერთ მანეთს. ღმერთმა შეარცხვინოს ამასთან ჩვენი განთქმული მკითხავები. ესენი ან ხორბალზედ უკითხავენ კაცს, ან საცერზედ, ან ხელის გულზედ, ბ-ნი ერმილოვი-კი (მკითხავის გვარია) ჰროშავს, რაც მოადგება პირზედ. ამის გამო დღე ისე არ გავა, რომ რაიმე სკანდალი, უსიამოვნება და ლანძღვა-გინება არ მოხდეს იმის ოთახში. მუშტრისა და მკითხავის ყვირილისაგან მეზობლებს მოსვენება არა აქეთ. კვირა საღამოსაც მოხდა ერთი ვაი-ვაგლახი. ერთი ყმაწვილი კაცი თავის ამხანაგებით შესულა ბ-ნ ერმილოვთან, მიუცია სამი მანათი და უთხოვნია მიკითხეო. ერმილოვსაც თავისებურად დაუწყია ფქვა და სხვათა შორის უთქვამს ცრუ-მორწმუნოების მსხვერპლისათვის: შენ მალე ცოლს შეირთავ, გეყოლება გმირი ვაჟიშვილები, და სხვა ამისთანა სისულელე. ყმაწვილ კაცს გული მოსვლია, რადგანაც ცოლიც დიდი ხანია რაცა ჰყავს და შვილებიც. გაგულისებულს ფული უკან მოუთხოვნია. რასაკვირველია, ბ-ნ ერმილოვს ფული არ დაუბრუნებია და ამტყდარა ერთი ვაი-ვაგლახი. ბოლოს პოლიციელი მობძანდა და რითი გათავდა ეს კომედია, ვეღარ შევიტყეთ. დროა ადგილობრივმა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ უცნაურს კაცს და დაიხსნას უვიცი, ბეჩავი ხალხი, განსაკუთრებით დედაკაცები, ცარცვა გლეჯისაგან.

*** როგორც შევიტყვეთ სარწმუნო წყაროდამ, სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ჩიქოვანი შუამდგომლობს გუბერნიის მმართველობის წინაშე, რომ ქალაქს სიღნაღში შემოღებულ იქმნას შემოკლებული სამოქალაქო დებულება. სიღნაღი შუაგული ადგილია დიდისა და მდიდარის მაზრისა, სადაც მკვიდრთა რიცხვი აღემატება ოთხმოც ათასს სულს. ბ-ნ ჩიქოვანის აზრით, სიღნაღი ნივთიერად საკმაოდ მდიდარია, იმის კეთილდღეობა ყოველ დღე მატულობს და მკვიდრთა შორის საკმაოდ განათლებული ახალგაზდობა მოიპოვება, რომელთაც შეეძლებათ ქალაქის მოვლა და რიგიანი ზრუნვა. ამისათვის ურიგო არ იქნებაო, რომ აქაც, როგორც გორსა და ახალციხეს, შემოღებულ იქმნას თვით-მმართველობაო. როგორ შეჰხედავს გუბერნიის მმართველობა ამ შუამდგომლობას, ჯერ დარწმუნებით ვერავინ ვერას იტყვის. სასურველი-კია, რომ სიღნაღსაც სხვა ქალაქებსავით მიენიჭოს თვით-მმართველობა.

*** ლონდონიდგან სწერენ გაზ. «არძაგანქს», რომ სტამბოლელი სომეხთა ლიტერატორი მინას ჩერაზი საცხოვრებლად ინგლისის სამეუფო ქალაქში გადასახლდა და იქ დააარსა ფრანგულსა და ინგლისურს ენაზედ სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი «L'Arménie». პირველი ნომერი ამ გაზეთისა 2,000 ეგზემპლიარი გაყიდულა. გაზეთს აზრად აქვს ევროპას სომხეთი, იმისი ისტორია, სარწმუნოება, ენა, ლიტერატურა და ხელოვნება გააცნოს.

*** პოლიციის მე-5 განყოფილების ბოქაულმა წარადგინა ტალახის ქუჩაზედ ნაპოვნი ქალის ოქროს საათი. დამკარგველს შეუძლიან დანაკარგი ისევ მიიღოს ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიაში, თუ აშკარა საბუთს წარადგენს, რომ მის მიერ არის ის საათი დაკარგული.

## უცხოეთი

გერმანია. ეხლანდელ გერმანიის იმპერატორის აღმზრდელს, დოქტორს გინცპეტერს, დაუბეჭდია პატარა წიგნი ვილჰელმ II-ის აღზრდისა და ხასიათის შესახებ. ეს წიგნი საყურადღებოა მით, რომ ავტორი გულ-უბრყვილოდ მოუთხრობს თავის მკითხველებს ბევრს ისეთს გარემოებასა და მოსაზრებას, რომელიც ბევრგან სხვაგან მეტად უხერხულ საქმედ ჩაითვლებოდა. გინცპეტერი ამბობს უპირველეს ყოვლისა, რომ სრული 20 წელიწადი ვადევნე თვალ-ყური იმპერატორს ყმაწვილობაში და ამიტომ ჩემზე უკეთ ვერავინ გამოარკვევს, რა ხასიათისაა ეხლანდელი იმპერატორიო. ჩემის აზრით, იმპერატორს ვილ-

---

და დამხმარებელ წევრობის მოვალეობა სრულიად არ აუსრულებია (საკუთარი საქმეები ბევრი ექნებოდა და სადღა მოიცლიდა!).

მაგრამ ამისდა მიუხედავათ, საზოგადოებას მაინცა ჰყავს ტფილისში საკუთარი გამგეობა, რომელსაც შეადგენენ ცამეტი წევრი, ორი მათი კანდიდატი, ერთი ხაზინადარი და ერთიც მდივანი. ახლა პროვინციებში ნახეთ, რამდენი კაცი ჰყავს საზოგადოებას:

ანი) თელავში—გნ. ანასტასია დავითის ასული ჩოლოყაშვილისა, რომელსაც საქმეთ-მწარმოებლად ჰყავს ბ-ნი მიხეილ ივანეს ძე იღურიძე; ბანი) ცხინვალში—ქეთევან ლუარსაბის ასული ყურულისა; განი) გორში—ეკატერინე დიმიტრის ასული ფურცელაძისა; დონი) სურამში—თ. ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე ხერხეულიძე; ენი) საჩხერეში—ბ-ნი ბეჟან დავითის ძე წერეთელი; ვინი) ქუთაისში—თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე და სილოვან თომას ძე ხუნდაძე; ზენი) ლაილაშში—თ. ქაიხოსრო გელოვანი, ტ) ფოთში—მღვდელი გრიგოლ მაჭარივე; თანი) ძველ-სენაკში—სამსონ გიორგის ძე ყიფიანი; ინი) ოზურგეთში—შიო ისაკის ძე შიუკაშვილი; ინი და ანი) სოხუმში—ანთიმოზ ივანეს ძე ჯუღელი; ინი და ბანი) კავკაშში—მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი; ინი და განი) თ-ხ.-შურაში—ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, და ინი და დონი) ნუხში—სოლომან გახტანგის ძე მაჩაბელი.

როგორც წლიურ ანგარიშიდამა სჩანს, საზოგადოების გამგეობას ტფილისში უთავნია და გაუმართავს ორი კონცერტი და ერთი ლატარია-ალეგრი და შემოსავალი აულია 2633 მან. და 38 კაპ. ხოლო რაც შეეხება პროვინციის აგენტებს, აი რას მოგვითხრობს მათს მოღვაწეობაზე „ანგარიში":

წლის განმავლობაში საზოგადოებას შემწეობა აღმოუჩინეს სწევრო ფულის შეგროვებით თუ კონცერტის გამართვით შემდეგმა წევრებმა: ანი) სურამიდგან თ. ქაიხოსრო ქაიხოსროს ძემ ხერხეულიძემ 322 მან., ბანი) ოზურგეთიდამ შიო ისაკის ძემ შიუკაშვილმა 51 მან. 80 კ., განი) ლაილაშიდამ თ. ქაიხოსრო გელოვანმა 18 მ.

დანარჩენს თორმეტ პროვინციალურ წევრზე და ერთს საქმეთ-მწარმოებელზე არას ამბობს ჩვენი პირ-დაცული და თავაზიანი „ანგარიში", მაგრამ ზოგჯერ გაჩუმებით უფრო მეტსა ჰლაპარაკობს კაცი იქნება თუ წიგნი, ვიდრე ლაპარაკით. და აშკარაა, რომ საზოგადოებისთვის არ აღმოუჩენია არავითარი დახმარება არც ქუთაისს, თავიდამ ფეხებამდე ქართულს ქალაქს, სადაც მთელი ორი აგენტი ჰყავს საზოგადოებას, არ აღმოუჩენია არც თელავს, სადაც ერთი აგენტი ჰყავს და ერთიც საქმეთ-მწარმოებელი, არ დახმარებია არც ჩვენი დარბაისელი გორი, სიტყვა მრავალი და ენა-მახვილი გორი, არ დაჰხმარებია არც ერთი დანარჩენი და ბა და სოფელი.

ალბად მტრის თვალების დასაყენებლად უქნიათ ასე, თორემ სხვა მიზეზი აქ არა სჩანს-რა.

**

მაგრამ დავანებოთ თავი ფულსა და იმის შეგროვებას. თქმა არ უნდა, დღეს ფულს ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ ყველაფერი-კი არა, მეტადრე იმისთანა საქმეში, სადაც პირველი ადგილი უჭირავს ზნეობრივს მხარეს საქმისას, სადაც უფრო საჭიროა მხნეობა, ენერგია, თავ-დადებული მუშაობა და სხვანი. ჩვენის რწმენით, ყოველ საზოგადო და საქვეყნო საქმეში უპირატესი ადგილი უჭირავს არა ფულის თანხას, არამედ თანხას ენერგიისას. ჯერ უნდა შეიძინოს საზოგადოებამ სიღრმე აზრისა, სიპატიოსნე განზრახვისა, სისუფთავე გრძნობისა, შეამკოსყოველივე ესე დაუღალავის მხნეობით, და მაშინ თავისთავად მოჰყვება საქმეს სანატრელი შედეგი და ფული ხომ რამდენიც გნებავთ. სადაც ვერა ჰხედავთ პირველს, იქ საქმეც ბოშად, უნდილად მიიზლაზნება და ფული ხომ რაღაც სანთლით საძებნელი საუნჯე ჰხდება და ყოვლად შემძლებელ მანქანებად არის მიჩნეული. ამიტომაც, სხვათა შორის, ვერ მოვუწონებთ ჩვენს საზოგადოებას იმ მუხლს წესდებისას, რომლის ძალითაც კენჭი არ ეძლევა წევრს ფულის შემოუტანელობის გამო. ბევრს არ შეაქვს საწევრო ფული მხოლოდ სიღარიბის გამო. მაგრამ იქნება მათ შორის არა ერთი და ორი იყოს ისეთი, რომელიც მდიდარეა სულით და გრძნობით, მდიდარეა საქმის ხალისით და სხვანი. ვინ არ იცის, რომ საზოგადო მოღვაწეობაში ესენი უფრო აკეთებენ საქმეს და იჩენენ მოთავეობას, ინიციატივას, ვიდრე ისინი, რომელთათვისაც ხუთი, არა ექვსი მანათი აბაზში ჩასაგდებიც არ არის.

მაგრამ ამას ჩვენ ვამბობთ მხოლოდ სხვათა შორის, გზა და გზა. ჩვენ უფრო იმისი გაგება გვინდა, თუ რა მოიმოქმედა წლის განმავლობაში ჩვენმა საზოგადოებამ, რომელსაც სულ რაღაც 6238 მანათი და 33 კაპეიკი ჰქონდა შემოსავალი წელს. ამის პასუხად „ანგარიში" გვეუბნება, რომ მაგ შემოსავლიდამ დაიხარჯა 5,363 მანათი და 50 კაპეიკიო. წყარო შემოსავლისა თითქმის სულ ერთი და იგივეა, რაც იყო შარშან, შარშანწინ და იმას წინ. ამ წელსაც ფული იმავ საქმეებს მოუნდა, როგორც შარშან, შარშან-წინ და იმას წინ. მცირეოდენს განსხვავებას მარტო იმასა ჰხედავთ, რომ წლის განმავლობაში დაუარსებიათ წიგნის მაღაზია, რომელიც თავის დროზე უეჭველია დიდს შემოსავალს მისცემს „საზოგადოებას". ამის მიხედვით, როგორც შემოსავლის სიაში, ისეც ხარჯის სიაშიც ერთი მუხლი მოჰმატებია წელს.

რაც შეეხება პირდაპირს საქმეს „საზოგადოებისას", ე. ი. წერა-კითხვის გავრცელებას, სკოლების დაარსებას, ამ მხრივ ძალიან მცირე რამ გაკეთებულა წლის განმავლობაში. მეტყვიან, „საზოგადოებამ" სკოლაც გამართა წელს კავკავშიო. მაგრამ კავკავის სკოლა ხომ თავის-თავად გაიმართა. რასაკვირველია, დიდი ამაგი დასდო ამ საქმეს „საზოგადოებისავე" წევრმა, პატივცემულმა მ. ზ. ყიფიანმა, გარნა

ჰელმს ორი თვისება დაჰყვა დაბადებითვე: ჰანოვერების ჯიუტობა, რომელიც ადვილად გადიქცევა ხოლმე მხნეობად და გამრჯელობის უნარადა, და ჰოგენცოლერნების სიმტკიცე, იდეალისტობით მოსილი. ამ ორმა თვისებამ გააჩინა მეტად მტკიცე ხასიათი, რომელიც ძლიერ ეურჩებოდა ყოველს გვარს მძლავრს გარეგანს ზედმოქმედებას. ჯიუტი ბუნება პრინცისა არ იშვნევდა ჩვეულებრივ წესებს აღზრდისას. შეუძლებელი იყო მისი გონება მისჩვევოდა კანონიერსა და დალაგებულს აზროვნობასა და მსჯელობას, რადგან პრინცს არა ჰქონდა უნარი გონება მოეკრიბნა და ერთს საგანს დაჰკვირვებოდა. ვერავითარმა ავტორიტეტებმა ვერ სძლიეს მის ბუნებურს თვისება-მიდრეკილებას. დედ-მამას უნდოდა პრინცს უფრო საერო საქმეების ხალისი ჰქონოდა და არა სამხედროსი, როგორც იმის გვარში იყო ჩვეულებად. რა ღონისძიება არ იქმნა ამისათვის ხმარებული, რა ნაირად არ ეცადეთ, მაგრამ ბუნებრივი, დაბადებითვე თან-დაყოლილი ხალისი სამხედრო საქმეებისა მაინც თავისას არ იშლიდა და ბოლოს ხომ ამ ხალისმა პირველი ადგილი დაიჭირა პრინცის ნატვრა-ოცნებასა და მოქმედებაში. ასეთი მიმართულება სწყინდა მის დედ-მამას. ესაყვედურებოდნენ და ჩიოდნენ კიდეც, მაგრამ ვერაფერმა ვერ გაასწორა საქმე. ბევრჯელ მშობლებს უთქვამთ: მაგისი იმედი არ უნდა გვქონდეს, უმადურია და უგულოაო, პატივს არა სცემს დედ-მამის სურვილსაო, ეს ჩივილი უსამართლოც იყო და თან ბუნებრივიც. მარცხენა ხელს პრინცი კარგად ვერა ჰხმარობდა და ვერც ეხლა ჰხმარობს, მაგრამ მაინც მედგარის ბეჯითობით იმდენი ქმნა, რომ მშვენივრად ისწავლა თოფის სროლა, ცურვა, ცხენზე ჯდომა. ვილჰელმი გადაიქცა იმ უშიშარ და გამბედავ კაცად, რომელიც იმას-ღა ნატრობს, რომ თუ ვინმე ჩემი სიკვდილი მოინდომა, იმდენი კიდევ შევიძლო, რომ შევიპყრა ის ავი კაცი და დავსაჯო ჩემის ხელითაო. პრინცმა დიდის ჯიუტობით დასძლია ყოველივე ენებათა ღელვა და წესად დაიდვა ზომიერება ცხოვრებაში. უძლიერესი გრძნობა იმპერატორის ვილჰელმისა არის გრძნობა მოვალეობისა, რომელიც იმის გვარში მამა-პაპითვე მოსდგამს ყველასაო...

აი ასე აგვიწერს ვილჰელმის ხასიათებს პირდაპირი და გულ-მართალი მისი აღმზრდელი დ-რი ჰინცპეტერი.

---

## ქორწინება და განქორწინება ამერიკაში

წერილები დე-ვარინისა

(დასასრული*)

მდგარი რომ მოეტყუებინათ როგორმე, ეს ორნი გაშორდნენ ერთმანეთს და პირობა დასდეს, რომ ტეხასში შეგვიყარნეთო. ბელლი სტარმა კაცის ტანისამოსი ჩაიცვა. ცხენით სიარულის გამო და განსაკუთრებით იმისთვის, რომ მეტად დიდ-ძალი ოქრო ჰქონდა თან, რის წვალებით მოაღწია უმაწვილმა ქალმა ბონგემამდე. აქ სასტუმროში ჩამოხდა და ვახშამი შეუკვეთა, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ, ვივახშმებ თუ არა, გზას გავუდგები და მთელი ღამე ვივლიო. ვახშმის ლოდინში ბელლის ბუხართან მიეძინა, ამ დროს ელვამ გაიელვა, გამოაღვიძა ქალი, მიიხედ-მოიხედა და პირველად სტოლთან მოსამართლე ტურმანი დაინახა, რომელსაც კარგად იცნობდა. მოსამართლემ გამოჩენილი ავაზაკი ქალი ვერ იცნო მამაკაცის ტანთსაცმელში. ვახშმის დროს სტუმრების სალაპარაკო უატ გრეიზონის გაძარცვა და ჯემი რიდი და ბელლი სტარი იყო. შეშინებული მესასტუმრე ეხვეწებოდა: თუ ღმერთი გწამთ, მაგ ლაპარაკს თავი დაანებეთ, რადგან, ვინ იცის, ხანდახან კედელსაც ყურები ასხია და ბელი სტარის შურისძიებისა-კი ძალიან მეშინიანო. საბრალო მესასტუმრეს არავინ უგონებს და ყველა იმ აზრისაა, რომ იმ ქალს ჩქარა დაიჭერენო. მოსამართლე ტურმანი აცხადებს, რომ მე კარგად ვიცნობ და თუ ვნახე სადმე, ხელიდგან ვეღარ წამივაო.

ბელლიმ გადასწყვიტა, რომ ამ წვიმაში წასვლით ეჭვს არ ავაღებინებო, და განაცხადა, რომ ამაღამ მეც აქ დავრჩებიო. მთელი სახლი-კი სავსე იყო ამასობაში სტუმრებით, საწოლები არ ეყოთ და სასტუმროს პატრონმა სთხოვა სტარს, რომ თქვენა და მოსამართლემ ერთს საწოლზედ მოისვენეთო; კარგად დაეტევით, მით უმეტეს, რომ ტურმანი ძალიან სქელი და ხორციანი კაცია, ხოლო თქვენ-კი — გამხდარი და სუსტიო. ორივენი დათანხმდნენ. ბელლა სტარი დიდის სიმშვიდით წამოწვა მოსამართლესთან და მთელი ღამე ისე ეძინა, რომ ფეხიც არ გაუძრავია. მოსამართლეს ეჭვიც-კი არ შეუტანია, თუ გამოჩენილი ავაზაკი ეწვა გვერდზე. დილა ადრიანად სასტუმროს პატრონმა გამოაღვიძა მოსამართლე და უთხრა: თქვენი ამხანაგი, ის, რომელსაც წუხელი თქვენთან ეძინა, გთხოვთ პატარა ხანს ქვემოდ ჩასვიდეთ, და ამბობს, რომ შესანიშნავი ამბავი უნდა გაცნობოთ ბელი სტარის შესახებაო. მოსამართლემ საჩქაროდ ჩაიცვა, ჩავიდა ძირს და ჰნახა, რომ იმისი ამხანაგი მგზავრი უკვე ცხენზე იყო ამხედრებული და გზას ადგა.

— ადრე აპირობთ წასვლას, უმაწვილო კაცო?

— ამ წუთას უნდა გავუდგე გზას.

— მერე იცით სად არის ბელლა სტარი?

— რასაკვირველია, ვიცი. აბა ახლო მოდექით და კარგად შემომხედეთ. მე ბელლა სტარი ვარ და თქვენ-კი... გამოჩერჩეტებული ბებერი. გუშინ ამბობდით, რომ ვიცნობ იმ ავაზაკს ქალს, თუ ოდნავ თვალიც არის მოვკრაო, ამასობაში ჩემს გვერდით იჯექით, ერთს საწოლზედ გეძინა, მაგრამ ეჭვიც-კი ვერ აიღეთ. დოლასის ოლქს სწორედ თავი უნდა მოსწონდეს, რომ შენისთანა მოსამართლე ჰყავს. წადით ეხლა და თავი მოიწონეთ თქვენის შორს-მხედველობით, ეს-კი ჩემგან გქონდეთ სახსოვრადაო.

მათრახი გადაარტყა თურმე მოსამართლეს, დეზები ჰკრა თავის ცხენს და ერთს წუთს თვალთაგან მიიჩქმალა.

ამ დედაკაცის ამბით მთელი წიგნი დაიწერებოდა. ეს ქალი ჩრდილოეთ კალიფორნიაში მივიდა შემდეგ და იქ რამდენსამე თვეს მოსვენებით სცხოვრობდა. მაგრამ გულმა მაინც დიდხანს არ მოუთმინა, ავაზაკებურმა ინსტინქტებმა კვლავ აიყოლიეს და როცა ერთხელ გაზეთებიდგან შეიტყო, რომ ოკლენდში დედაკაცებისა და მამაკაცების ჯირითი არის დანიშნულიო, გადასწყვიტა, რომ მეც უეჭველად მივიღებ მონაწილეობას და ორივე ჯილდოს გამოვაცლი ყველას ხელიდგანაო. მშვენიერი შავი ცხენი იყიდა 350 მან., რომელიც იმიტომ მისცეს ასე იაფად, რომ ვერავინ იმორჩილებდა, და წავიდა ოკლენდში. ცხენის ყიდვის დროსაო, ამბობს ბელლი სტარი: გავიცანი ჩარლი ბოიდომი, მეტად გამოჩენილი კაცი სან-ფრანცისკოში, და ის გამომყვა თანაო.

„— ნუ თუ მართლა ორივე ჯილდოს მოპოვება გინდათო? მკითხა ჯირითამდე ჩარლმა.

„მე თავის ქნევით ვუპასუხე, ჰოთქო, და ვსთხოვე დახურული ეტლი მიშოვნეთ, რომ ტანისამოსის გამოცვლა შემეძლოს-მეთქი. მიშოვნა ამისთანა ეტლი და ჯირითზე მექსიკანურს ტანისამოსში გამოვცხადდი. გრძელი ულვაშები მქონდა. თოთხმეტი მოწინააღმდეგე მყავდა, მაგრამ საერთო ყურადღება-კი მე დავიმსახურე. ყველა იმასა კითხულობდა, ვინ არის ეგ პაწუკი მექსიკანელიო. მე ავიღე ჯილდო, შევედი ეტლში, ცხენოსან ქალის ტანისამოსი ჩავიცვი, იმავ ცხენზედ ამხედრებული გამოვედი საჯიბრო მოედანზედ და მეორე ჯილდოც მე დავიკუთვნე.

„ყველანი შემომეხვივნენ, მილოცავდნენ, აღტაცებით შემომცქეროდნენ. განსაკუთრებით კამელტანი, ერთი საუკეთესო მოჯირითეთაგანი. ამ კაცმა ჩემი შერთვაც-კი მოიწადინა, მაგრამ როგორც იყო მოვიშორე თავიდგან და ჩარლთან ერთად წამოვედი. არავის ერთი წუთსაც ეჭვი არ აულია, რომ ორივე ჯილდოს დამმსახურებელი ერთი და იგივე ადამიანი იყო, გამოჩენილი ავაზაკი ქალი ბელლი სტარი“.

აქედგან სტარი ისევ ტეხასში წავიდა და რადგან ფული აკლდა, სან-ანტონიოში იმანა და რიდმა გასძარცვეს ფოსტა და 10,000 მან. ფული აიღეს. მაგრამ ყავახანაში ორივე ავაზაკს მიასწრო მართებლობამ, სტარმა, თუმცა-კი დაჭრილმა, მაინც დააღწია თავი, ხოლო ჯემს რიდი მოჰკლეს.

ბელლი სტარს იმდენი თაყვანის-მცემელი ჰყავდა, რამდენიც მცხოვრები ითვლება ტეხასსა, კანზასსა, ნებრასკასა და ნევადში. რიდის სიკვდილს შემდეგ ეს ქალი მისთხოვდა საიდს. შემდეგ ჯონ მიდლტონი ამოირჩია, რადგან საიდი ხელში ჩაუვარდა მთავრობასა და ბელლას-კი ისეთი კაცი სძულდა, რომელიც მტრებსა ჰმორჩილდებოდა და რომელსაც მტრები სძლევდნენ. ჯონ მიდლტონი გაქცევის დროს მდ. პოტრომში დაირჩო და მესამედ დაქვრივებულმა სტარმა ჯომიჯე შეირთო, იმისი ბიძაშვილი. სამს თებერვალს ამ წლისას ეს გამოჩენილი ქალიც მოკლეს კანადის საზღვარზედ. სწორედ ისეთი სიკვდილი ეღირსა, როგორსაც ნატრულობდა; იგი ამბობდა ხოლმე, რომ ლოგინში-კი ნუ ამომავა სული და რაც უნდა მომივიდესო.

თუმცა-კი სხვა სახით და სხვა წრეში, აღზრდითა და ცივილიზაციით მოქნილთა და მორჯულებულთ, მაგრამ ესლაც შეხვდებით იმავ სიყვარულს თავისუფლებისას, იმავ რომანტიულს გულოვნებას და, თუმცა ფარულს, მაინც აშკარა სიძულილს სოციალურ წეს-რიგთა მიმართ. თუ რამდენიმე ამისთანა ამერიკელი ქალი შეგისწავლეთ, ადვილად შექმნით ტიპს ამერიკელის ქალისას, რომელიც, თუმცა განათლებულია, ზრდილობიანი, ცივილიზაციის ყალიბში გამოყვანილი, მაგრამ ევროპიელს ქალს-კი არაფრითა ჰგავს. ამ ორს შორის უფრო დიდი ოკეანეა, ვიდრე ამერიკასა და ევროპას შორის მყოფი ოკეანე, რომელსაც, ორთქლის მიერ დამარცხებულს, რამდენსამე დღეში გადასჭრის ადამიანიშვილი.

ა.

*) იხ. „ივერია“ №№ 225, 226, 227, 228, 230, 232, 237, 241, 242, 245 და 247.

---

# დეპეშა

18 ნოემბერი

ლონდონი. სენტვინცენტიდამ იწერებიან დეპეშით, რომ დღეს შუადღისას მოვიდა გემი „ალაგასი“, რომელშიაც იმყოფება იმპერატორი დონ-პეტრო და მისი სახლობაო.

19 ნოემბერი

პეტერბურგი. „Прав. Вѣст.“-ში

---

ეგ არის მხნეობა მარტო ერთის წევრისა და მთელი საზოგადოება-კი აქ არას შუაშია, თუ არ ჩავუთვლით ანგარიშში იმას, რომ „საზოგადოებამ“ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო ეს სკოლა და რამდენისამე მანათის ნივთები გაუგზავნა.

**

იქნება იმიტომ არა სჩანდეს თვით «საზოგადოების» წლიური მოქმედება, რომ პირველ სექტემბრიდამ 1888 წლისა პირველ სექტემბრამდე 1889 წლისა მთელი თავისი დრო და მოცალეობა მოანდომა წიგნის მაღაზიის დაარსებას და რიგიანს გზაზე დაყენებას? მაგრამ ძნელი ის არის, რომ არც ეს ეკიჟინება ჩვენს საზოგადოებას, იმიტომ რომ მაღაზიის გამართვა და მოწყობა განიზრახა, ითავა და აღსრულებაში მოიყვანა საზოგადოების მდივანმა, ბ-ნმა მანსვეტოვმა, რომელსაც კინაღამ უარიც არ უთხრა კრებამ შესახებ ჯილდოსი. „მაგოდენა ჯამაგირს გაძლევთო (სულ ხუთი თუმანია თვეში!), მაგისთანა ოთახში გამოგჰმეთო (ამ ოთახშივეა მ ამწყვდეული ბიბლიოთეკა, კანცელარია, წიგნის მაღაზია, მდივანი, მისი თანაშემწე და თანაშემწის თანაშემწე!), და რაღა პროცენტი და პრუცენტი გინდაო“, მიადგნენ საცოდავს მდივანს, თითქო დღეს ყოველი საკომერციო საქმე, პროცენტიან ჯილდოზე აშენებული, ერთი-ათად უკეთ არ მიდიოდეს და მომეტებულს შემოსავალს არ იძლეოდეს, ვიდრე კანცელიარულსა და მედუქნურ ჯამაგირზე დაყენებული!.. ჰო, იმას მოგახსენებდით — წიგნის მაღაზიას არ მოუნდომებია საზოგადოების მხნეობა. მაშ რაზე წავიდა მისი წლიური მოქმედება? წიგნების დაბეჭდვამ ხომ არ მოინდომა მისი დრო და მოცალეობა, მისი გარჯა და ხალისი? წელს დაიბეჭდა საზოგადოების სახელით ისტორიული მონოგრაფია „გიორგი ბრწყინვალე“ ბ-ნ ხიზანაშვილისა, „მოთხრობანი“ ბ-ნ ვაჟა-ფშაველასი და სახელმძღვანელო წიგნები ბ-ნ გოგებაშვილისა. ეს ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ ამას რად უნდა მოენდომებინა წლიური ღვაწლი მთელის „საზოგადოებისა“, როდესაც აქ საკმარისია თვითეული შრომა ერთის კაცისა! ამასთანავე თუ სახეში ვიქონიებთ, რომ ხსენებულ წიგნების დაბეჭდვაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ მათნი ავტორნი და ბ-ნი მდივანი „საზოგადოებისა“, მაშინ პირდაპირ უნდა ვსთქვათ, რომ არც ამ საქმისთვის შეულევია ჩვენს საზოგადოებას თავისი უნარი მოქმედებისა...

**

ერთის სიტყვით, „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოქმედებისა“ გადაჭრით ეუბნება მკითხველს, რომ მთელი ღვაწლი საზოგადოებისა 1888 წლის სექტემბრის 1-დამ 1889 წლის 1-ლ სექტემბრამდე მხოლოდ ისა ყოფილა, რომ აუღია 6238 მანათი და 33 კაპეიკი და დაუხარჯავს 5363 მანათი და ათი შაური. მხოლოდ ბარაქალა-ღა ეთქმის, რომ ასე მუყაითად მოქცეულა, რადგან შემოსავალი აღემატება ხარჯს რამდენისამე ასის მანათით. არც ფულის მოკრებაში სჩანს რამ ახალი ღვაწლი საზოგადოებისა, არც მის დახარჯვაში. იგივ ბათომის სკოლა, წინარეხისა, თონეთისა, ხელთუბნისა, რომელნიც დააფუძნა „საზოგადოებამ“ პირველ დაწყების ხალისიანობაში, იგივ ბიბლიოთეკა, მეტი არაფერი...

თქმა არ უნდა, დიდს ხელ-გაშლილობას ვერ გამოიჩენს ჩვენი «საზოგადოება», რადგან საკმაოდ ეკლიანია მისი გზა, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ თუ გაუკეთებია რამ ამ „საზოგადოებას“, ისევ პირველ წლებში გაუკეთებია. შემდეგ და შემდეგ-კი თანდათან კანცელარიის ხასიათი ეძლევა მის მოქმედებას — წლიური ანგარიში-კი უნაკლულოდ იყოს შედგენილი, თორემ ვის რა დარდი აქვს, როგორი იქნება სია მოღვაწეობისა, მდიდარი, თუ გლახაკიო.

პირველში ყველანი მხნეობით მოეკიდნენ საქმეს, — „არიქათ, ძმანო, ქართველებმა ძრიელ ჩამოვრჩით ქვეყანას განათლებასა და წარმატებაში. ვეცადნეთ, რომ ჩვენც ფეხი ავიდგათ და ადგილი დავიჭიროთ მსოფლიო ასპარეზზე, ჩვენც ადამიანთა შორის მოვყვეთო“. ხალისით შეუდგნენ ყველანი საქმეს, ვისაც-კი ესმოდა რამე, და კიდეც გამართეს აქ-იქ სკოლები. შემდეგ და შემდეგ, როდესაც ნახეს, რომ ამისთანა დიდს საქმეს დიდი მხნეობა და თავის-გაწირვაც უნდოდა, ნელ-ნელა დააძვრინეს თავი ამ ტკბილსა და მძიმე უღელს — ძალა ვერ შესწვდა ქადილისა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი საზოგადო მოღვაწეობის იარაღი ჰგავს თოფს, რომელიც გატენილია სიმინდის მარცვლებით და წამალი-კი აყრია მარტო საპირისწამლეზე, დავაჩხაკუნეთ თოფი, საპირისწამლემ იფეთქა, და ყველას გვეგონა, რომ ამ აფეთქებას მოჰყვება ისეთი ნასროლი, რომელიც ძირს დაამხობს ჩვენს უმეცრებასაო, და ის-კი არა თუ სიმინდის მარცვლები დღესაც თოფის ლულაშია და გინდაც არ დარჩომილიყო, იმისი მოკლული ნადირი ვერ გაგვიმთელებდა იარას.

მართალია, საზოგადო მოღვაწეობას დიდი გმირობა უნდა და, რასაკვირველია, ვერავის მოვთხოვთ ბუმბერაზობას მხნეობისას და გოლიათობას თავ-განწირულობისას, მეტადრე ამისთანა დაქოცმაცებულ ხალხში, როგორიც დღეს ჩვენი ინტელიგენციაა, მაგრამ მაინც ვისურვოთ, რომ ჩვენშიაც აღმოჩნდნენ საქმის მუყაითნი კაცნი და შემდეგის წლის ანგარიში მაინც უფრო სანუგეშო იყოს, ვიდრე ამ წლის ანგარიშია, რომლის შედგენაზე ტყუილად მომცდარა ჩვენი საზოგადოება. მით უფრო მოსალოდნელი უნდა იყოს სიკეთე შემდგომის ანგარიშისა, რომ ჩვენს „საზოგადოებას“ უკვე თავისი ისტორია აქვს, საგანი იმისს მოქმედებისა ყველასათვის ნათლად გამოირკვა, სიძნელე გზისა აშკარაა და გვაკლია მხოლოდ მხნეობა. რაც მომეტებულს ვიმხნევებთ, მით უკეთესი იქნება, რასაკვირველია. თუ გადაჭარბებულ მხნეობის იმედი არავისა გვაქვს, ცოტაოდნისას მაინც ნუ დავკარგავთ.

სანდ.

გამოცხადებულია უქვეშევრდომილესი ადრესები ეკატერინოსლავისა და პოლტავის თავად-აზნაურობისა. ეს ადრესები თავად-აზნაურობამ მიართვა ხელმწიფე იმპერატორს საგლეხოთა და მომრიგებელ-სასამართლოთა დაწესებულების ცვლილებისა გამო. ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად მოწყალეჲ ბრძანა: მადლობა ეთქვას ზემოხსენებულს თავად-აზნაურობასაო. ეკატერინოსლავის თავად-აზნაურობის ადრესში სწერია: „მას შემდეგ, რაც გამოცხადდა ის მანიფესტი, რომ თავად-აზნაურობას წინანდებურად პირველი ადგილი უნდა ეჭიროს ადგილობრივ მმართველობასა და სასამართლოს საქმეებში და უანგაროდ იღვაწოს ერისათვისაო, თავად-აზნაურობისათვის ახალი დრო დადგა. წოდება ესე, მონარხიის ნდობით განახლებული, სიხარულით ელოდა თავის მეფის მიერ მოწოდებას ასეთის სამსახურისათვის. 12 ივნისის კანონით რჩეულ თავად-აზნაურს მიეცა ისეთი თვალ-საჩინო ხელმწიფება, რომელიც, სარწმუნოებისა და მონარხიის ერთგულებასთან ერთად შეერთებული, დასძლევს დაბრკოლებას სოფლის ცხოვრების კანონიერად მსვლელობისას. ასეთის უხვისა და მეფურის წყალობით გამოცხადებულის ნდობის გამო მხურვალედ მსურველნი ვართ განუსაზღვრელი მადლობა მოვახსენოთ მის უდიდებულესობას. ეკატერინოსლავის თავად-აზნაურობამ მოისმინა ესეთი უმაღლესი სურვილი არა იმ ამაოების ფიქრით, რომ ჩვენი წოდება პირველობას დაიჭერსო, არამედ იმ აზრით, რომ ახალის და წმინდა მოვალეობათა შესრულებით განახორციელოს ხელმწიფის სურვილნი საკეთილოდ რუსეთისა“. პოლტავის თავად-აზნაურობის ადრესში სწერია: „თავად-აზნაურნი დღესაც წინანდებურად თავიანთ სამღვთო მოვალეობად სთვლიან განახორციელონ სურვილი თვისის მონარხისა. პოლტავის თავად-აზნაურობა მზად არის უკეთესი ძალა და ღონე თვისი შესწიროს სამშობლოსა და ტახტის სამსახურს“.

გუშინ „Дворянское Собраніе“-ს დარბაზში იყო დღესასწაული რუბინშტეინის 50 წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად. დარბაზი სავსე იყო რჩეულის ხალხით. ესტრადაზე მოთავსდნენ დეპუტაციები. ესტრადის წინ ადგილი იყო მომზადებული იუბილიარისათვის. სამეფო ლოჟაში დაიჭირეს ადგილი: დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ და დიდმა მთავრინამ ეკატერინე მიხეილის ასულმა ვაჟიშვილითა და ქალიშვილითურთ. სამეფო ლოჟის პირდაპირ მეიუბილეიეს სახლობა იმყოფებოდა. რუბინშტეინს შემოსვლისას დიდის ტაშის ცემით მიეგებნენ. დღესასწაული დაიწყო მით, რომ მისალმების სიტყვა სთქვა საიუბილეიო კომიტეტის თავმჯდომარემ ჰერცოგმა გიორგი მეკლენბურგ-სტრელიცკისამ. შემდეგ რუსეთის სამუსიკო საზოგადოების თავმჯდომარემ სენატორმა მარკოვიჩმა გამოაცხადა, რომ მეიუბილეიეს მისის უდიდებულესობის კაბინეტიდამ 3000 მან. პენსია დაენიშნაო. გამოცხადებულ იქმნა, რომ დიდმა მთავრინამ ალექსანდრა იოსების ასულმა მეიუბილეიეს გამოუგზავნა თავისი სურათი საკუთარისავე ზედ-წარწერით. მეიუბილეიეს გადასცეს სალამი მინისტრებმა და სხვათა წარჩინებულთა კაცთა, მიართვეს ოქროს მენდალი რუსეთის საიმპ. სამუსიკო საზოგადოებისა და დიპლომი პეტერბურგის უნივერსიტეტის საპატიო წევრობისა. ქალაქის თავმა მიართვა ადრესი და შეატყობინა, რომ ორი სტიპენდიაა დანიშნული თქვენს სახელობაზე კონსერვატორიაში და ამასთან უფლება გაქვთ მონიჭებული თქვენ თითონ ამოირჩიოთ სტიპენდიატებიო. ხორომ იგალობა პოლონსკის მიერ იუბილიარის პატივსაცემლად დაწერილი ლექსი და ჩაიკოვსკის მიერ ნოტებად დაწყობილი. შემდეგ მიულოცეს იუბილეი დიდ-ძალმა დეპუტაციებმა. წაკითხულ იქმნა მრავალი დეპეშა და წერილი და აგრეთვე დეპეშა დედოფალ მარიამ ჰანნოვერელისაგან მიღებული. აქტი გათავდა იმით, რომ კანტატა ბახისა იქმნა შესრულებული.

პეტერბურგი. სახელმწიფო ბანკი აილებს პეტერბურგში ამას იქით, ვიდრე ახალი განკარგულება იქნება, ვექსილებზე 5½-გან 6%-დე, ხოლო დასახელებულ, ვექსილებითვე დათავდებებულს, სახელდახელო ანგარიშზე—6%.

ამ დღეებში აპირებენ ნაოსნობის შეწყვეტას. ყინულმა დენა დაიწყო ლადოგის ტბიდამ. ტემპერატურამ ნულზე დაბლა დაიწია.

აქაურის ბანკირის კანტორა „პ. ეფიმოვი და კº ჰყიდდა ვადით შინაგან მომგებიან ბილეთებს და მყიდველებს წვრილ-წვრილად ახდევინებდა ფასს. «Гражданинъ»-ი იუწყება, რომ ფინანსთა მინისტრმა ეხლა ამ ნაირად გასყიდვა ბილეთებისა აუკრძალა ამ კანტორასაო.

პეტერბურგის 17 ბირჟა, ნოემბ.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 54 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 247 „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 247 55 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 97½ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97½ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | 84¼ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 „ |
| „ „ 2 „ | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა. . . . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 „ |
| მე-3 — . . . . . . | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი. . . . . . . . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 “ |
| ღორის ხორცი . . . . . | „ “ |
| „ 2 „ „ | „ „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ-ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (უველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდა და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

# განცხადებანი

ხვალ, ოთხშაბათს, 22 ნოემბერს, ფორკატის საოპერეტო თეატრში წარმოადგენენ გამოჩენილი ინდოელნი მამა და შვილი

ვან-იუ-ტო-ჩამბი

ესენი დიდად დახელოვნებულნი არიან მაგიაში, ორმოც-და-ხუთს ფუთსა სწევენ და თავზედ აგურებს იმტვრევენ. ეს ინდოელნი სპარსეთის შაჰს გამოუწერია ინდოეთიდგან.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საცავში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცდა, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა . . . . . | „ | 50 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა. . . . | „ | 40 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა. . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ყდით. . . . . . . | „ | 70 |
| ხანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . | „ | ?0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | 0 |


## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 25„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | 4 „ . . . | 4 „ 70„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 50„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 75„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 20-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.